პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

ЛЕЛО

№ 143 (9304)
24 ივლისი, ხუთშაბათი, 1986 წ.

საქართველოს სსრ ფიზიკური კულტურისა და სპორტის სახელმწიფო კომიტეტისა და პროფკავშირთა რესპუბლიკური საბჭოს ორგანო

ЛЕЛО — ОРГАН ГОСУДАРСТВЕННОГО КОМИТЕТА ГРУЗИНСКОЙ ССР ПО ФИЗИЧЕСКОЙ КУЛЬТУРЕ И СПОРТУ И РЕСПУБЛИКАНСКОГО СОВЕТА ПРОФСОЮЗОВ

გამოდის 1934 წლის 13 აპრილიდან ● ფასი 8 კაპ.

ეროვნული ბიბლიოთეკა



თბილისში, ლენინური კომკავშირის სახელობის საწყლოსნო კომპლექსში მიმდინარეობს „ზენიტის“ ცენტრალური საბჭოს ნორჩ წყალში მხტომელთა ღია პირველობა. შეჯიბრებაში 10 გუნდი მონაწილეობს. ქალებს იმსახურებენ მასპინძლები, რომლებმაც სამი მეორე ადგილი დაიკავეს. უფროსი ასაკის სპორტსმენებში (15-16 წლის), რომლებიც სპორტის ოსტატის პროგრამით გამოდიან, ვერცხლის მედლები მოიპოვეს მალხაზ მერაბიშვილმა (კოშკი) და საიხა კაიფაჯანმა (3-მეტრიანი ტრამპლინი). საშუალო ასაკის (13-14) ბიჭებში მეორე იყო მათი თანაგუნდელი გოჩა გახარია (ტრამპლინი).

სსრ კავშირის ხალხთა IX სპარტაკიადა

„ლელოს“ სპეციალური კორესპონდენტი **გაბრიელ ბარჯაძე** მინსკიდან ტელეფონით გვატყობინებს:

უილბლო სტარტი

ფინა რეპორტაჟში „კლასიკოსთა“ შეჯიბრების პირველი დღის დილის შეხვედრათა შედეგები გაგაცანით. ახლა საშუალება გვაქვს დაწვრილებით მოგითხროთ ამ დღეს გამართულ ორთაბრძოლებზე.

უნდა ითქვას, რომ ქართველი ფალავნებისათვის სტარტი ერთობ უიღბლო გამოდგა. ტურნირი 48, 57, 68, 82 და 100 კგ წონითი კატეგორიის მოჭიდავეებმა გახსნეს. 17 წლის მარტყოფელ მოჭიდავეს ალბა გულიაშვილს (57 კგ) ლენინაკანელი არარატ მოვსესიანის სახით ძლიერი და გამოცდილი მეტოქე შეხვდა. გულიაშვილს არაერთხელ შეექმნა ხელსაყრელი მომენტი, მაგრამ მხოლოდ 5 ქულის აღება შეძლო, თვითონ 8 ქულა წააგო და ქულებით დამარცხდა. შემდეგ ჩვენი ფალავანი თურქმენეთის წარმომადგენელს ვლადიმერ გრიგორიანს ეჭიდავა. პირველი პერიოდი თანაბარ ბრძოლაში წარიმართა, მაგრამ ბოლო წამებზე გულიაშვილმა შეძლო ერთი ქულის აღება, შესვენების შემდეგ კი უფრო გააქტიურდა და მისი მეტოქე შეჯიბრებიდან პასიურობისთვის მოიხსნა. მესამე წრეში, რომელიც საღამოს გაიმართა, გულიაშვილმა კიდევ ერთი მარცხი იწვნია, ამჯერად ბაქოელ ედუარდ აღაკიანთან. მათი ბრძოლა აშკარად არათანაბარი იყო. აღაკიანმა 2 წუთსა და 35 წამში 12 ქულა მოაგროვა და აქტივში უმინდა გამარჯვება ჩაიწერა, გულიაშვილი კი შეჯიბრებას გამოეთიშა.

ჩვენი გუნდის ღირსებას პირველ ქვესაშუალო წონაშიც მარტყოფელი სპორტსმენი იცავდა. სამწუხაროდ, მამუკა გიგაურმა თანასოფლელზე ადრე დაამთავრა გამოსვლა — სულ ორი წრე ჩაატარა. ბრძოლას გამოეთიშა საქართველოს ნაკრების კიდევ ერთი წევრი — თბილისელი ბესიკ აფციაური (82 კგ), რომელმაც მეორე წრეში ძლიერი უკრაინელი სპორტსმენი ვიქტორ სორიცა დაამარცხა. ბესიკმა პირველსავე წამებზე დგომიდან სამქულიანი გდება შეასრულა, შემდეგ უფრო დაწინაურდა. პერიოდის მიწურულს, როცა იგი ბრძოლას ანგარიშით 15:5 იგებდა, უკრაინელ მოჭიდავეს მესამე გაფრთხილება მისცეს. მსგავსი ანგარიშით დამთავრდა ბრძოლა მესამე წრეში, ოღონდ ამჯერად აფციაურმა წააგო ერევნელ მურად საოსიანთან — 5:15. სომეხმა სპორტსმენმა ქულები ძირითადად ჩოქბჯენში მოაგროვა. აღსანიშნავია, რომ ჩვენი მეზობელი რესპუბლიკის ფალავნები საოცრად აქტიურობენ „პირველ სართულზე“ და ჯერჯერობით წარმატებებსაც აღწევენ.



100 კგ. ვერც ამ წონის მოჭიდავემ, ცხაკაიელმა გურამ შონიამ გაამართლა იმედები. ორი წრის შემდეგ მას ერთი გამარჯვება ჰქონდა, მესამე წრეში კი იგი ტაშკენტელ საიდ აბკადიროვთან დამარცხდა და მაყურებლებში გადაინაცვლა.

ერთი სიტყვით, მინსკის სპორტის სასახლის სარბიელზე „კლასიკოსთა“ ტურნირის პირველ დღეს ოთხმა ქართველმა ფალავანმა იასპარეზა და ოთხივე გამოეთიშა ბრძოლას. ასეთი უფერული სტარტი ალბათ სტაჟიან გულშემატკივრებსაც არ ემახსოვრებათ.

ელპა-ინფორმაცია

გუშინ ბრძოლაში ჩაებნენ დანარჩენი 5 წონითი კატეგორიის ფალავნები, რომლებმაც 2 წრე იჭიდავეს. ვ. ონიანმა (62 კგ) ჯერ 1 წუთსა და 47 წამში მოუგო ტ. პავლოვს (ლატვია), შემდეგ ქულებით (4:7) დამარცხდა მოსკოველ ვ. ტერმინოვთან. პირველ წრეში ჯ. ბაკურიძემაც (74) წმინდად გაიმარჯვა ბაქოელ ნ. გაჯიევთან, მაგრამ ქულებით წააგო კონდრაცკისთან (უკრაინა).

პირველივე წრეში ა. ბიკმურზინთან (რსფსრ) დამარცხდა ზ. ივანიშვილი (90), შემდეგ მოუგო კ. ურბონასს (ლიტვა). ამავე წონაში ი. ხუნაშვილმა გაიმარჯვა ნ. დანილოვთან (მოლდავეთი), მაგრამ დათმო შეხვედრა ი. უენუაევთან (უზბეკეთი).

თითო წაგება აქვთ მძიმე წონის მოჭიდავეებსაც. მ. სვანიძე ა. კარელინთან (რსფსრ) დამარცხდა და ვ. კლიმენკოს (მოლდავეთი) მოუგო, ვ. ქარსელაძემ ვერაფერი გააწყო ო. გუნთაშინთან (ლენინგრადი), მეორე წრეში კი წმინდად დაამარცხა რ. დგვორელი (ტაჯიკეთი).



ᲙᲔᲗᲘᲚᲘ ᲜᲔᲑᲘᲡ ᲗᲐᲛᲐᲨᲔᲑᲘᲡ ᲔᲥᲝ

რეინოლდსი — ბიგანიშვილზე

კეთილი ნების თამაშები და ის მეგობრული ატმოსფერო, რომელიც სპორტული შეჯიბრებები ტარდებოდა, საზღვარგარეთიდან სტუმრად ჩამოსულ ახალგაზრდების მეხსიერებაში დიდხანს დარჩება. ამას თვითონვე აცხადებდნენ ყველგან — სპორტულ სარბიელზე, შეხვედრებზე, ოფიციალურ მიღებებზე.

— ჩემთვის დაუვიწყარი იქნება ტალინი, ტალინელები, მშვენიერი ბაზა და რა თქმა უნდა, ის კეთილმოსურნე დამოკიდებულება, რომელიც სპორტსმენთა შორის დამყარდა — თქვა ამერიკელმა აფროსანმა მარკ რეინოლდსმა, რომელიც „ვარსკვლავის“ კლასში ჩვენი თანამემამულის გურამ ბიგანიშვილს მთავარი მეტოქე იყო.

რბოლა „ვარსკვლავის“ კლასში, როგორც იცით, ამერიკელმა აფროსანმა მოიგო, გურამ ბიგანიშვილი კი მეორე ადგილზე გავიდა. რბოლის დამთავრების შემდეგ მარკ რეინოლდსმა ჟურნალისტებს თავისი მოსაზრებები გაუზიარა.

— ჩვენ გვქონდა ბრწყინვალე კონსტრუქციის ნავი და შესანიშნავი აფრები. არ გაგიკვირდეთ ნავის ხარისხს დიდ მნიშვნელობას რომ ვანიჭებთ. ჩვენი ნავი უქარო ამინდშიც კი საჭირო სისწრაფეს ავითარებს. კილის საერთაშორისო რეგატა მე და ჩემმა მატროსმა სწორედ ამ ახალი კონსტრუქციის ნავის მეშვეობით მოვიგეთ. ასე, რომ თანამედროვე აღჭურვილობას ჩვენს საქმეში დიდი მნიშვნელობა აქვს.

ჟურნალისტებმა რეინოლდსს ჰკითხეს, რა აზრისა ხართ გურამ ბიგანიშვილის ეკიპაჟზეო.

— გულახდილად გეტყვით, ასეთ მძაფრ წინააღმდეგობას არ მოველოდი. საბჭოთა ნავი ქარიან ამინდში კარგად მიდის და საკმარის სისწრაფესაც ანვითარებს. ბიგანიშვილ-ზიბინის ეკიპაჟს, რა დასამალია და, ჩვენზე უკეთესი ტექნიკა ჰქონდა. ისინი არც ტაქტიკით ჩამოგვავარდებოდნენ. მაგრამ ამინდმა და ამის გამო ნავმაც მათ მთელი შესაძლებლობების გამოვლენის საშუალება არ მისცა. დარწმუნებული ვარ, უახლოეს შეჯიბრებებში მათი დამარცხება ძნელი იქნება.

რეინოლდსის აზრით, აფროსნობაში დიდი მნიშვნელობა აქვს ფსიქოლოგიურ განწყობასაც. ძნელია, როცა მეტოქე ტექნიკურად უკეთესადაა აღჭურვილი და შენს ნამდვილ ოსტატობას ვერ აჩვენებ. ასეთ დროს სპორტსმენი ფსიქოლოგიურად იჩაგრება.

— მე და გურამ ბიგანიშვილი კიდევ ბევრჯერ შევხვდებით ერთმანეთს. მთავარი ისაა, რომ ჩვენ ასეთ სასიამოვნო ვითარებაში გავიცანით ერთმანეთი.

24 ივლისი — ᲙᲐᲠᲐᲢᲔᲙᲘ

თავისუფალი ჭიდაობა

სსრ კავშირის ხალხთა IX სპარტაკიადა. თავისუფალი ჭიდაობა. მინსკი. 17-20 ივლისი.

48 კგ. 1. ბ. ხრისტოფოროვი (უკრაინა), 2. რ. ბადრეტდინოვი (უზბეკეთი), 3. ნ. აივაზიანი (ბელორუსია).

52 კგ. 1. ს. ეგშატიანი (სომხეთი), 2. ე. მამედოვი (უკრაინა), 3. ა. სულიევი (უზბეკეთი).

57 კგ. 1. ო. ეფენდიევი (რსფსრ), 2. ს. ამინბაევი (უზბეკეთი), 3. კ. აბდულდაუდოვი (ბელორუსია).

62 კგ. 1. ბ. სავა (მოლდავეთი), 2. ი. ტარადაი (უკრაინა) 3. ს. დიაჩენკო (ბელორუსია).

68 კგ. 1. ი. შჩერბა (ბელორუსია), 2. ზ. ალიმურზაევი (მოსკოვი), 3. ვ. ევდოევი (უკრაინა).

74 კგ. 1. ს. ხ. მურთაზალიევი (რსფსრ), 2. ი. ხუჯაევი (უზბეკეთი), 3. ა. ჩესტკოევი (ბელორუსია).

82 კგ. 1. ა. გოგოლიშვილი (საქართველო), 2. ა. ზუბაიროვი (რსფსრ), 3. ე. კარაპეტიანი (სომხეთი).

90 კგ. 1. ა. ბისულთანოვი (რსფსრ), 2. შ. აბდურახმანოვი (ბელორუსია), 3. რ. არუთინიანი (ბელორუსია).

100 კგ. 1. ლ. ხაბელოვი (საქართველო), 2. ვ. ზახაროვი (მოსკოვი), 3. რ. თიბილოვი (უკრაინა).

130 კგ. 1. დ. გობეჯიშვილი 2. ზ. თურმანიძე (ორივე — საქართველო), 3. ნ. ლატუშკინი (ბელორუსია).



საქართველოს IX სპარტაკიადის ჩემპიონი ირაკლი ფერბიცკი ცხენოსნობაში ასპარეზობისას.

ჯემალ კასრაძის ფოტო.

საქართველოს IX სპარტაკიადა

როცა გასაყოფი არაფერია

სამწუხაროდ, მართლაც ასე იყო. და ეს არც არავის გაკვირვებია. ანდა, რა იყო გასაკვირი... დიახ, თანამედროვე ხუთჭიდელთა არც წლევანდელი რესპუბლიკური სპარტაკიადა გამოირჩეოდა. მონაწილეთა რაოდენობით — თბილისის სპორტულ ბაზებზე სულ ორად-ორი გუნდი ასპარეზობდა — თბილისისა და ქუთაისის კოლექტივები. და მაინც, ეს შეჯიბრება ერთგვარ წინგადადგმულ ნაბიჯად შეიძლება ჩაითვალოს. საქმე ისაა, რომ ქუთაისში სულ ერთი წელია, რაც დაინერგა სპორტის ეს სახეობა და მათ უკვე ჰყავთ ნიჭიერი სპორტსმენები. ახლა მათთან სერიოზული მუშაობაა მთავარი. ზუგდიდმა მხოლოდ ერთი წარმომადგენელი გამოგზავნა. სპარტაკიადაში ჩვენს ხუთჭიდელებთან ერთად ოთხი უკრაინელი სპორტსმენიც მონაწილეობდა.

გამარჯვება თბილისის გუნდს ხვდა — 4582 ქულა. ქუთაისელებმა 2700 ქულა მოაგროვეს. პირად ჩათვლაში საუკეთესო იყო იური ვერბიცკი (თბილისის „დინამო“) — 5530 ქულა. 5303 ქულით II ადგილს ხარკოველი ოლეგ იარიგინი დაეუფლა. მესამე იყო თბილისის დინამოელი დიმიტრი გორდიენკო — 5277 ქულა.

პირადშიც, გუნდურშიც

წარმატებით იასპარეზეს იუნიორთა მსოფლიო ჩემპიონატზე გფრ-ის ქალაქ შიფერშტადში თავისუფალი სტილით მოჭიდავე საბჭოთა სპორტსმენებმა. უმაღლესი ჯილდოები დაიმსახურეს: ტაშკენტელმა ე. იუსუპოვმა (65 კგ), მახაჩყალელებმა ს. კატინოვასოვმა (70) და ს. გამიდოვმა (75), გროზნელმა რ. უმაროვმა (81), ორჯონიკიძელმა ო. ნანიევმა (+87). ვერცხლის მედალი ერგო ბაქოელ ნ. გამიდოვს (52), ბრინჯაოსი — მახაჩყალელ პ. ზალიბეკოვს (60) და ოდესელ ა. კოცოვს (87). გუნდურ ჩათვლაში საუკეთესონი ასევე საბჭოთა მოჭიდავეები იყვნენ. მეორე ადგილი ხვდათ ბულგარელებს, მესამე ირანელებს.

ᲡᲡᲠ ᲙᲐᲕᲨᲘᲠᲘᲡ ᲮᲐᲚᲮᲗᲐ IX ᲡᲞᲐᲠᲢᲐᲙᲘᲐᲓᲘᲡ ᲤᲘᲜᲐᲚᲣᲠᲘ ᲐᲡᲞᲐᲠᲔᲖᲝᲑᲘᲡ ᲬᲘᲜ

„ᲡᲣᲡᲢᲘ ᲛᲔᲢᲝᲥᲔᲔᲑᲘ ᲐᲠ ᲒᲕᲔᲣᲚᲔᲑᲐ“

ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲮᲔᲚᲑᲣᲠᲗᲔᲚ ᲕᲐᲟᲗᲐ ᲜᲐᲙᲠᲔᲑᲘ გუნდისთვის საბჭოთა კავშირის ხალხთა IX სპარტაკიადის წილისყრას უიღბლოდ ვერ მივიჩნევთ. ქვეჯგუფში ჩვენს გუნდთან ერთად მოხვდნენ უკრაინის, ყირგიზეთისა და თურქმენეთის კოლექტივები. მათგან ორი საუკეთესო გუნდი გათამაშების შემდგომ ეტაპზე საპრიზო ადგილებისათვის გააგრძელებს ბრძოლას. ასპარეზობა 25 ივლისს დაიწყება კიევში.

უკრაინის დედაქალაქში გამგზავრების წინ გამართულ ერთ-ერთ უკანასკნელ ვარჯიშზე „ბურევესტნიკის“ სპორტულ კომპლექსში „ლელოს“ კორესპონდენტი შეხვდა რესპუბლიკის ნაკრების უფროს მწვრთნელს, სპორტის ოსტატ გიორგი ბერიაშვილს და ესაუბრა მას.

— დებულების მიხედვით ახლანდელ სპარტაკიადაში მონაწილეობის უფლება 1966 და მომდევნო წლებში დაბადებულ სპორტსმენებს აქვთ — გვითხრა გ. ბერიაშვილმა. — ამიტომ ამ დიდ სპორტულ ფორუმზე თბილისის „ბურევესტნიკის“ „ძველი გვარდიის“ გარეშე მოგვიწევს ბრძოლა. მზადების პირველ ეტაპზე შევარჩიეთ 20 კანდიდატი, რომელთა უმრავლესობა, ცხადია, თბილისელი ხელბურთელი იყო. მათ გარდა თითო წარმომადგენელი მოვიწვიეთ ქუთაისიდან, სამტრედიიდან, ზესტაფონიდან და ზუგდიდიდან. ასე ჩამოყალიბდა ძირითადი ბირთვი. კიევში 14-კაციანი გუნდით მივემგზავრებით. გუნდის წევრები ძირითადად საქართველოს პოლიტექნიკური და ფიზკულტურის ინსტიტუტების სტუდენტები არიან. აქვე მინდა აღვნიშნო, რომ ჩვენი ახალგაზრდული ნაკრების რვა წევრი „ბურევესტნიკის“ ოსტატთა გუნდშია მიწვეული. ესენი არიან: ივა ცერცვაძე, მამუკა მეკანაძე, დათო გიორგაძე, გია ტეტელოშვილი, ზაურ ცხადაძე, კობა თორდია, მერაბ როგავა და ბესარიონ ბესელაშვილი. აღსანიშნავია, რომ წინა წლებში ჩვენი გუნდი მეტოქეებს ყოველთვის საგრძნობლად ჩამორჩებოდა სიმაღლეში, დღეს კი ჩვენს ნაკრებში ბევრი ტანმაღალი ხელბურთელია — მათი საშუალო სიმაღლეა 191 სმ. ამ მხრივ ახლა ტოლს აღარ ვუდებთ სხვა გუნდებს. მოთამაშის სიმაღლეს კი ხელბურთში, მოგეხსენებათ, დიდი მნიშვნელობა აქვს.

⊙ როგორ მიმდინარეობდა მზადება?

— სპარტაკიადისათვის მზადების მთავარი ეტაპი იუნიორ ხელბურთელთა საკავშირო ჩემპიონატში მონაწილეობა გახლდათ. ასპარეზობა, რომელიც თითქმის ნახევარი წელი გაგრძელდა, გამოცდილების მიღების შესანიშნავი საშუალება გამოდგა. ჩვენმა გუნდმა ამ მარათონში 27 მატჩი ჩაატარა და დასახული ამოცანა შეასრულა — მოხვდა ფინალურ ექვსეულში, სადაც საბოლოოდ მეხუთე ადგილი დაიმკვიდრა. გარდა ამისა, ვითამაშეთ ბაქოს საკავშირო ტურნირში, სადაც ჩვენი და მასპინძელთა ორი გუნდის გარდა მოსკოვისა და ყირგიზეთის კოლექტივებიც გამოდიოდნენ. ჩვენმა ბიჭებმა მოსკოველების შემდეგ მეორე ადგილი დაიკავეს. ამას მოჰყვა დასკვნითი შეკრება ლესელიძეში, რომელმაც, ვფიქრობ, ნაყოფიერად ჩაიარა. მართალია, ჩვენი ორი მოთამაშე დაშავებული იყო, მაგრამ ახლა ყველანი სპორტულ ფორმაში არიან. მინდა აღვნიშნო, რომ მზადების პერიოდში დიდად გვეხმარებოდნენ სპორტსაზოგადოება „ბურევესტნიკი“ და უმაღლესი დაოსტატების № 1 რესპუბლიკური სპორტსკოლა.

⊙ როგორი განწყობით მიემგზავრებით კიევში?

— ჩვენს ქვეჯგუფში უდავო ფავორიტია უკრაინის ნაკრები. ამ გუნდში არიან საკავშირო ჩემპიონატის უმაღლეს და პირველ ლიგებში მოასპარეზე კოლექტივების მოთამაშეები. სხვათა შორის, ყირგიზეთის გუნდიც მუდამ სტაბილური თამაშით გამოირჩეოდა. თურქმენეთის ნაკრები ყირგიზეთის გუნდზე სუსტია, მაგრამ სპარტაკიადაზე ისიც ანგარიშგასაწევი გუნდი იქნება. პირველ დღეს ყირგიზეთის გუნდს ვხვდებით, შემდეგ უკრაინის ნაკრებს, ბოლოს — თურქმენეთისას. კარგად ვიცით, რომ ხალხთა სპარტაკიადაზე სუსტი კოლექტივები არ ჩამოდიან, რომ თავიდანვე „განწირულმა“ აუტსაიდერმაც კი შეიძლება სიურპრიზი შემოგვთავაზოს. ბიჭები საბრძოლო განწყობით მიემგზავრებიან და მზად არიან ყოველ შეხვედრაში თავდაუზოგავად ითამაშონ. ჩვენი მთავარი ამოცანაა მოვხვდეთ რვა უძლიერესს შორის. და თუ ფინალში მოვხვდით, ვვერწმუნეთ, თავს არ შევირცხვენთ.

ᲒᲘᲐ ᲐᲮᲐᲚᲐᲫᲔ.





ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲮᲔᲚᲑᲣᲠᲗᲔᲚ ᲕᲐᲟᲗᲐ ᲜᲐᲙᲠᲔᲑᲘ ᲒᲣᲜᲓᲘᲡ ᲨᲔᲓᲔᲒᲔᲑᲘ ᲡᲡᲠ ᲙᲐᲕᲨᲘᲠᲘᲡ ᲮᲐᲚᲮᲗᲐ ᲡᲞᲐᲠᲢᲐᲙᲘᲐᲓᲔᲑᲖᲔ:

V სპარტაკიადა — 1971 წ. — IV ადგილი

VI სპარტაკიადა — 1975 წ. — III ადგილი

VII სპარტაკიადა — 1979 წ. — V ადგილი

VIII სპარტაკიადა — 1983 წ. — VI ადგილი

ᲔᲠᲝᲕᲜᲣᲚᲘ ᲒᲐᲜᲬᲧᲝᲑᲘᲗ ᲒᲐᲛᲝᲪᲓᲘᲚᲘ ᲞᲠᲝᲤᲔᲡᲘᲝᲜᲐᲚᲗᲐ ᲨᲠᲘᲗᲐᲜ

ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ პირველობის მონაწილე ლელბურთელებმა წელს რესპუბლიკის IX სპარტაკიადის პროგრამით იასპარეზეს. ჩვენ უკვე ვწერდით თელავსა და გეგეჭკორში გამართული ზონალური შეჯიბრებების შესახებ, რომელთაც ფინალური ტურნირის მონაწილე ოთხოთხი საუკეთესო გუნდი უნდა გამოევლინა.

გადამწყვეტ ასპარეზობას ჩოხატაურის რაიონმა უმასპინძლა. რვავე გუნდმა ტურნირი ზონალურ შეჯიბრებაში მოპოვებული ქულებით დაიწყო. ოთხივე მატჩში გაიმარჯვა, ყველაზე მეტი, 21 ქულა მოაგროვა და რესპუბლიკის სპარტაკიადის ჩემპიონის წოდება მოიპოვა გეგეჭკორის გუნდმა (მწვრთნელი გურამ ჭილაია). გამარჯვებულებს ორი ქულით ჩამორჩნენ და მეორე ადგილი დაიკავეს მასპინძლებმა — ჩოხატაურელმა ლელბურთელებმა (მწვრთნელი ზაურ გიორგაძე), 16 ქულით მესამე ადგილზე გავიდნენ ქუთაისელი სპორტსმენები (მწვრთნელი ზურაბ სვანიძე). მომდევნო ადგილები დაიკავეს გორის, თელავის, სამტრედიის, აჭარისა და ზუგდიდის გუნდებმა.

სპორტის ეროვნულ სახეობაში ჩატარებულ შეჯიბრებას, რასაკვირველია, განსაკუთრებული ყურადღება ჰქონდა. სიამოვნებით უნდა აღვნიშნოთ, რომ ჩოხატაურის რაიონის ხელმძღვანელობამ ყველაფერი იღონა იმისათვის, რომ ასეთ სპორტრზობას მაღალ. დონეზე ჩაევლო. ლელობურთელების ორი სტადიონი დაეთმოთ, ლამაზად ჩატარდა შეჯიბრების გახსნისა და დახურვის ცერემონიალები. გამარჯვებული გუნდები მედლებითა და ფასიანი საჩუქრებით დაჯილდოვდნენ. ყველაზე სასიხარულო კი ის იყო, რომ ლელობურთელებს ბევრი მაყურებელი ჰყავდათ.

ᲐᲚᲐᲙᲘ ᲛᲔᲒᲠᲔᲚᲐᲫᲔ,
რესპუბლიკური კატეგორიის მსაჯი.

ᲛᲙᲘᲗᲮᲕᲔᲚᲘ ᲒᲗᲐᲕᲐᲖᲝᲑᲡ

ᲠᲐᲢᲛᲝ ᲐᲠ ᲒᲐᲕᲘᲓᲔᲗ ᲡᲝᲤᲔᲚᲨᲘ

ᲒᲐᲕᲠᲝᲑᲘᲡ ორგანიზაციის საკითხს ბოლო ხანებში განსაკუთრებული ყურადღება ეთმობა და დადებითი შედეგებიც საგრძნობია. დღეს ყველამ კარგად იცის, როგორ გაიზარდა სპორტული ნაწარმის მოთხოვნილება, მოსახლეობის ფართო ფენების წარმომადგენლებს ქალაქად თუ სოფლად კარგად ესმით ფიზიკური კულტურისა და სპორტის მნიშვნელობა, ხოლო იმისათვის, რომ ყოველდღიურად ივარჯიშონ, სურვილთან ერთად საჭიროა სპორტული ფორმა და ინვენტარიც. სპორტული მაღაზიები რესპუბლიკაში ბევრგან გვაქვს, მაგრამ მაინც არ არის საკმარისი მათი რაოდენობა ჯერჯერობით. მეტიც, ასეთი მაღაზიები მხოლოდ ქალაქებში ან რაიონულ ცენტრებშია, სოფლის მცხოვრებთ კი ყოველთვის როდი მიუწვდებათ ხელი მათთვის საჭირო სპორტულ ნაწარმზე. რატომ არ შეიძლება, მაგალითად, გაერთიანება „სპორტსაქონელმა“ მანქანებით შეიტანოს სპორტული საქონელი თუნდაც თბილისთან ახლომდებარე რაიონების სოფლებში?

მარნეულში იშვიათად თუ წააწყდებით ბავშვებისთვის საჭირო ზომის ფეხსაცმელს და სპორტულ ტანსაცმელს. ან სულ პატარა ზომის ტანსაცმელი და ფეხსაცმელი დახლზე, ან მეტისმეტად დიდი. ბოლნისში ჩავედი, მაგრამ ვერც ერ ვიშოვე ჩემთვის სასურველი ზომის სპორტული ნაწარმი. ერთი სიტყვით, სოფლად სპორტული საქონლის შეტანით ვაჭრობის საკითხის შოვვარება საშური საქმეა.

ᲛᲘᲮᲔᲘᲚ ᲙᲘᲚᲐᲫᲔ.
მარნეული.

ᲒᲐᲛᲝᲮᲛᲐᲣᲠᲔᲑᲐ ᲬᲔᲠᲘᲚᲖᲔ: „ᲤᲔᲮᲑᲣᲠᲗᲘᲡ ᲦᲐᲚᲐᲢᲘ ᲐᲠᲐᲕᲘᲡ ᲔᲞᲐᲢᲘᲔᲑᲐ“

ᲞᲐᲢᲘᲕᲪᲔᲛᲣᲚᲝ ᲠᲔᲓᲐᲥᲪᲘᲐ!

ეს წერილი დიდმა გულისტკივილმა დამაწერინა. თბილისის „დინამოს“ ფეხბურთელებმა ამ ბოლო ხანს ბევრჯერ დაგვწყვიტეს გული, მაგრამ იმედი არასოდეს გადამიწურავს, ყოველთვის მჯეროდა, რომ კიდევ მოვიდოდა 1981 წლის 13 მაისი...

ჩვენმა ფეხბურთელებმა ალბათ იციან როგორ ამაყობდნენ მათი თამაშით გულშემატკივრები, მათ შორის მეც. მართალია ქალი ვარ, მაგრამ ფეხბურთის ფასი მეც ვიცი. ასეთი ქომაგი კი, ვინ იცის, რამდენია საქართველოში.

გული მტკივა და სიტყვები ვერ მომიძებნია... მსოფლიო ჩემპიონატის ერთი თვე ზეიმი იყო ჩვენთვის, განა ჩვენს ბიჭებს არ შეუძლიათ ასეთი სიხარული მოგვანიჭონ? ... უჩვეულო საფეხბურთო ფეიერვერკის შემდეგ მიდი და უყურე ზოგჯერ როგორ აგებს შენი საყვარელი გუნდი, ისიც თავის მინდორზე.

მინდა დინამოელებმა იცოდნეს, ახალციხის რაიონში ათასობით ადამიანი მათი ნამდვილი გულშემატკივრები... გვჯეროდა და გვჯერა, ... თქვენ ფეხბურთის თამაში გიყვართ, რომ მოწონება და სიხარულით ... თებული თვალები თქვენთვის ... ბევრ რამეს ნიშნავს.

ᲕᲐᲠᲓᲝ ᲙᲐᲞᲐᲜᲐᲫᲔ.

ᲛᲙᲘᲗᲮᲕᲔᲚᲘ ᲒᲗᲐᲕᲐᲖᲝᲑᲡ

ᲣᲙᲕᲐᲚᲝᲓ ᲐᲠ ᲩᲐᲣᲕᲚᲘᲐ

ᲪᲐᲛᲔᲢᲘ წელია, რაც აფხაზეთის განათლების სამინისტროს ნორჩ ტურისტთა რესპუბლიკური სადგური არსებობს. ნორჩ ტურისტთა რიცხვი ყოველწლიურად იზრდება. მოზარდები ეუფლებიან ტურისტულ ტექნიკას, იძენენ სალაშქრო ჩვევებს, სწავლობენ ტოპოგრაფიულ დაგეგმვას, იძენენ სპორტული ორიენტირების უნარს, ეცნობიან მშობლიურ მხარეს. აქაურმა ნორჩმა ტურისტებმა ზედიზედ მეორედ გაიმარჯვეს საქართველოს პიონერმოსწავლეთა ტურისტულ შეჯიბრებებში.

სადგურის ნაყოფიერი მუშაობა, მისი ხელმძღვანელის პაატა ფეიერვერკოვის მონდომება შეუმჩნეველი არ დარჩენილა. და აი, სოხუმის რაიონული აღმასკომის დადგენილებით ბავშვთა ტურიზმის შემდგომი განვითარების მიზნით, მდინარე გუმისთის ხეობაში, სოფელ კამანის ნორჩ ტურისტებს მიწის მონაკვეთი გამოუყვეს. აქ შესანიშნავი ბუნებრივი პირობებია ტურისტული ღონისძიებების ჩასატარებლად. მომავალში აქვე შეიქმნება ნორჩ ტურისტთა სტაციონარული ბაზა.

ᲛᲬᲘᲐ ᲐᲙᲝᲜᲘᲐ,
(„ლელოს“ ხაკ. კორ.)
სოხუმი.

ᲥᲐᲚᲗᲐ ᲤᲔᲮᲑᲣᲠᲗᲘ ᲥᲣᲗᲐᲘᲡᲡᲐᲪ ᲔᲤᲕᲘᲐ

ᲑᲝᲚᲝ ᲮᲐᲜᲔᲑᲨᲘ ᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲛᲐ ᲒᲝᲒᲝᲜᲔᲑᲛᲐ, ᲮᲒᲐ ᲥᲕᲔᲧᲜᲘᲡ ᲛᲨᲕᲔᲜᲘᲔᲠᲘᲐ ᲮᲔᲥᲔᲑᲘᲡ ᲬᲐᲠᲛᲝᲛᲐᲓᲒᲔᲜᲔᲚᲗᲐ ᲛᲮᲒᲐᲕᲡᲐᲓ, ᲗᲕᲘᲗ ᲡᲞᲝᲠᲢᲘᲡ ᲛᲔᲤᲔᲡ — ᲤᲔᲮᲑᲣᲠᲗᲘᲡᲐᲪ ᲙᲘ ᲨᲔᲤᲑᲔᲓᲔᲡ. ქუთაისში ამ სიახლის ფუძემდებლად სამედიცინო სასწავლებლის გოგონები მოგვევლინენ. მათ ინიციატივას მხარი დაუჭირეს ნებაყოფლობითი სპორტსაზოგადოება „სპარტაკის“ საქალაქო საბჭომ და ავტოქარხნის რაიონის კულტურულ-სპორტულმა კომპლექსმა.

პირველი შეკრება რამდენიმე თვის წინ, ქალთა საერთაშორისო დღეს — 8 მარტს შედგა. გუნდში ჩაირიცხნენ ფეხბურთზე უზომოდ შეყვარებული გოგონები, დაინიშნა უფროსი მწვრთნელი — რ. მაღლაფერიძე — და ახალშექმნილ კოლექტივს სახელიც უწოდეს — „იმერეთი“. გოგონები თავგამოდებით შეუდგნენ ვარჯიშს და თვენახევრის შემდეგ პირველი ოფიციალური შეხვედრაც გამართეს — ფოთში მათთან შედარებით გაცილებით გამოცდილ „მედეას“ შეხვდნენ და საპატიო ფრეს მიაღწიეს — 0:0.

ეს შეხვედრა ერთგვარი რეპეტიცია გახლდათ რესპუბლიკის ჯანმრთელობის დაცვის სამინისტროს საშუალო სპეციალური სასწავლებლების სპარტაკიადის წინ, რომლის პროგრამაში ქალთა ფეხბურთიც იყო შეტანილი. ახალბედებმა აქაც იმარჯვეს და საპატიო მესამე ადგილი დაიკავეს, ხოლო „იმერეთის“ თავდამსხმელი ი. სულამანიძე 4 გატანილი ბურთით ტურნირის ბომბარდირი გახდა.

და აი, ამ რამდენიმე დღის წინათ ქუთაისში პირველად გაიმართა ფეხბურთელ ქალთა მატჩი: მაყურებლებით გაჭედილ ცენტრალურ სტადიონზე „იმერეთმა“ უმასპინძლა თბილისის „სპარტაკს“, გუნდს, რომელმაც სპარტაკიადის ჩემპიონის წოდება მოიპოვა.

მატჩი მეტად საინტერესოდ ჩატარდა, ფეხბურთელებმა საკმაოდ ტექნიკური თამაში უჩვენეს მაყურებელს. რაც შეეხება შედეგს, თბილისელმა მოწყალების დებმა „უმოწყალოდ“ გაანადგურეს თავიანთი ქუთაისელი კოლეგები: დიდი ანგარიშით — 4:0 მოიგეს შეხვედრა (გოლები გაიტანეს იუხანოვამ — 2, ჭყონიამ და ჭოლოკავამ).

მაგრამ მასპინძლებს, კინოფილმ „პირველი მერცხლის“ გმირთა მსგავსად, „აბა-ულა“ არ უმღერიათ და არც გაბრაზებულებსა და ცრემლმორეულებს დაუტოვებიათ მინდორი, რადგან არც სტუმრები გახლდნენ გადამთიელები. პირიქით, შეხვედრის შემდეგ ფეხბურთელმა გოგონებმა სიამოვნებით გადაიღეს სამახსოვრო ფოტოსურათები.

მატჩის მთელი შემოსავალი — 3405 მანეთი გადაირიცხა ჩერნობილელთა დახმარების ფონდში.

ᲗᲐᲛᲐᲖ ᲮᲐᲠᲐᲒᲐᲫᲔ.
ქუთაისი.

დუბლიორთა მატჩი

გუშინ თბილისში შედგა უმაღლესი ლიგის დუბლიორ ფეხბურთელთა საკავშირო გათამაშების კალენდარული მატჩი. თბილისის დინამოელებმა მიიღეს ლენინგრადის „ზენიტი“.

თამაში დამთავრდა ფრედ — 2:2.

პროფკავშირების თასზე

II **ლიგის** ფეხბურთელთა IX ზონის საკავშირო გათამაშებაში პირველი წრის დასასრულს მოეწყო შესვენება, რომლის დროსაც ზონის გუნდები მონაწილეობდნენ პროფკავშირების საკავშირო თასის შეჯიბრებაში. შეიქმნა ოთხი ჯგუფი. გუნდებმა, რომლებმაც წარმატებას მიაღწიეს ჯგუფურ შეჯიბრებებში, უფლება მოიპოვეს ითამაშონ მერვედფინალში. თასის გათამაშების ამ ეტაპზე გავიდნენ: „დინამო“ (სოხუმი) — „ოლიმპია“ (აშტარაკი), „შირაკი“ (ლენინაკანი) — „ლოკომოტივი“ (სამტრედია), „დილა“ (გორი) — „ავტომობილისტი“ (მინგეჩაური), „ყარაბახი“ (სტეფანაკერტი) — „ლოკომოტივი“ (თბილისი).

მეოთხედფინალში უკვე გავიდნენ შემდეგი გუნდები: „სპარტაკი“ (ოქტემბერიანი), რომელიც შეხვდება სოხუმის „დინამოსა“ და აშტარაკის „ოლიმპიას“ შორის გამარჯვებულს, ფოთის „კოლხეთი“ (შეხვდება „შირაკსა“ და სამტრედიის „ლოკომოტივს“ შორის გამარჯვებულს), ბაქოს „გიანჯლიკი“ (შეხვდება „დილასა“ და „ავტომობილისტს“ შორის გამარჯვებულს) და რუსთავის „მეტალურგი“ (შეხვდება „ყარაბახსა“ და თბილისის „ლოკომოტივს“ შორის გამარჯვებულს).

მეოთხედფინალური მატჩები შედგება 27 ივლისს.

I ლიგა

22 ივლისს შედგა I ლიგის ფეხბურთელთა საკავშირო გათამაშების XXIV ტურის მატჩები.

„დინამო“ (ბათუმი) — „როტორი“ (ვოლგოგრადი) 2:1 (1:0)

ბათუმი. „დინამოს“ სტადიონი. 22 ივლისი.

„დინამო“: კუცია, გოგიტიძე, ანდღულაძე, დურდიაძე, ჩიქოვანი, ზედანია, კიკლიაშვილი, ათუაშვილი, შელია, გორგილაძე, მაისურაძე (შენაბდე).

„როტორი“: ვლადიუშჩენკოვი, ოსკოლკოვი, ტიმანოვი, იმრეკოვი, მალუხინი, ხომუტეცკი, მოროხინი (სერგეევი), კონცევენკო, ხუროვიკინი (ვასიაევი), შაიმუხამედოვი, იუდინი.

მსაჯი პ. გუტმანი (დუშანბე).

დინამოელთა შეხვედრამ ვოლგოგრადელ ფეხბურთელებთან ბათუმელ ფეხბურთის მოყვარულთა დიდი ინტერესი გამოიწვია. საქმე ისაა, რომ „როტორი“ და „დინამო“ გათამაშების ცხრილში ახლო მეზობლები არიან, მასპინძლებს კი წარმატების შემთხვევაში დაწინაურების კარგი შესაძლებლობა ექმნებოდათ.

დინამოელებმა არ გააწბილეს მაყურებელთა იმედები, ისინი დასაწყისიდანვე ენერგიულად უტევდნენ, მეკარე ვლადიუშჩენკოვს პირველივე წუთებიდან მოუხდა თამაშში ჩაბმა, მასპინძლები მთელი ტაიმი უტევდნენ და მათი ერთ-ერთი იერიშის დროს ვოლგოგრადელმა მოროხინმა საკუთარ კარში ჩაჭრა ბურთი.

ძალზე დაძაბული ბრძოლით აღინიშნა შეხვედრის მეორე ნახევარი. კვლავ დაუღალავად შრომობდა „როტორის“ მეკარე, საუკეთესო მდგომარეობიდან ძელს მოახვედრა ბურთი კიკლიაშვილმა, ვერ გამოიყენა კარგი შესაძლებლობა გორგილაძემაც, 81-ე წუთზე კი ნიკიტინის დარტყმამ მიზანს მიაღწია და ანგარიშით გათანაბრდა — 1:1.

დარჩენილ მცირე დროში ბათუმელმა ფეხბურთელებმა მაინც იმარჯვეს და მენაბდის ზუსტი გადაცემის შემდეგ გორგილაძემ გადამწყვეტი ბურთი გაიტანა — 2:1.

ოთარ მურვანიძე.

(ტელეფონით, „ლელოს“ კორ.).

* * *

ლიგის ერთ-ერთი ლიდერი ლანჩხუთის „გურია“ მოსკოვში შეხვდა „ლოკომოტივს“ და მარცხი განიცადა ანგარიშით 1:3.

ტურის სხვა შეხვედრათა შედეგები: „კუზბასი“ (კემეროვო) — „მეტალურგი“ (ზაპოროჟიე) 1:2, ასკ (ხაბაროვსკი) — „კოლოსი“ (ნიკოპოლი) 4:2, „ისკრა“ (სმოლენსკი) — „დინამო“ (სტავროპოლი) 1:1, „შინიკი“ (იაროსლავლი) — „როსტსელმაში“ (დონის როსტოვი) 3:0, „კოტაიკი“ (აბოვიანი) — ცსკა 0:1, „ფაკელი“ (ვორონეჟი) — „სპარტაკი“ (ორჯონიკიძე) 2:0, „ყუბანი“ (კრასნოდარი) — ასკ „ბარატი“ (ლვოვი) 0:1, ასკ (დონის როსტოვი) — „ნისტრუ“ (კიშინიოვი) 5:1, „ატლანტასი“ (კლაიპედა) — „პამირი“ (დუშანბე) 1:2, „დაუგავა“ (რიგა) — „ფახთაქორი“ (ტაშკენტი) 7:0.

ამ ტურის მატჩებით დასრულდა I ლიგის გათამაშების პირველი წრე. მეორე წრე დაიწყება 25 ივლისს, ჩვენი გუნდები კი ითამაშებენ 30 ივლისს.

გათამაშების ცხრილი

მდგომარეობა 24 ივლისისთვის

	თ.	მ.	ფ.	წ.	ბ.	ქ.
„დაუგავა“	23	16	5	2	55-22	37
ცსკა	24	14	5	5	38-20	33
„გურია“	23	13	4	6	34-28	30
„პამირი“	23	10	9	4	32-22	29
„როტორი“	23	13	1	9	34-22	27
„დინამო“ ბ.	23	11	5	7	28-26	27
„შინიკი“	23	11	4	8	19-14	26
„ლოკომ.“	23	10	6	7	34-25	26
„როსტს.“	23	9	8	6	38-32	26
ასკ „კარ.“	23	9	7	6	37-25	25
„კოლოსი“	23	9	6	8	23-26	24
„ფახთაქ.“	23	10	3	10	29-38	23
ასკ რ.	23	8	6	9	26-24	22
„მეტალ.“	22	8	5	9	26-24	21
„კოტაიკი“	23	6	9	8	17-18	21
„ფაკელი“	23	7	6	10	20-25	20
„ყუბანი“	23	5	10	8	17-20	20
„სპარტაკი“	23	6	7	10	30-33	19
„ისკრა“	24	6	6	12	14-31	18
„კუზბასი“	23	5	8	10	25-36	18
„დინ.“ სტ.	23	3	11	9	22-29	17
„ატლანტ.“	22	5	6	11	16-27	16
ასკ ხ.	23	4	7	12	24-38	15
„ნისტრუ“	23	3	4	16	14-49	10



გოლკიპერი ორმოცდაათი წლისაა

თბილისის „დინამოსა“ და ქუთაისის „ტორპედოს“ ოსტატ ფეხბურთელთა გუნდის ძველ მეკარეს სერგო კოტრიკაძეს ორმოცდაათი წელი უსრულდება.

რა მალე გადის დრო... თითქოს გუშინ იყო, თბილისის „დინამოს“ სტადიონის გაჭედილი ტრიბუნები... მინდორზე გამოდიან ავთანდილ ღოღობერიძე, მიხეილ მესხი, სლავა მეტრეველი, გივი ჩოხელი, შოთა იამანიძე, მურთაზ ხურცილავა, სერგო კოტრიკაძე...

სერგოს თაობის ფეხბურთელთა წარმომადგენლებმა საუკუნის ნახევარს მიუკაკუნეს, ზოგიერთი ბაბუაც გახდა...

როგორი ძნელი და საპასუხისმგებლო მატჩიც უნდა ყოფილიყო, როცა კარში სერგო კოტრიკაძე იდგა, გულშემატკივრები მშვიდად იყვნენ, თუ ჩვენს მცველებს გაექცეოდა მეტოქე, სერგო ლამაზი, თავგანწირული ნახტომით „ჩამოხსნიდა“ გაფრენილ ბურთს. ასეთ ნახტომებს ბარე, ერთი და ორი მეკარე ვერ დაიკვეხნის. არტისტიზმს მოკლებული ფეხბურთი როგორღაც უინტერესოა. სწორედ ეს არტისტიზმი ალამაზებდა სერგო კოტრიკაძის დახვეწილ ტექნიკას... მინდორზე იგი მუდამ რაინდი იყო. ვერც ერთი სტაჟიანი გულშემატკივარი ვერ გაიხსენებს თუნდაც ერთ მომენტს, სერგო კოტრიკაძეს თანაგუნდელისთვის ხელების ქნევა ან ლანძღვა დაეწყოს.

სერგო დიდი ხანია აღარ გამოდის სარბიელზე — დარჩა მხოლოდ გარდასულ ბრძოლათა მოგონება, კინოფირები, ფოტოსურათები, ძველი გაზეთები, მაგრამ ის რაინდული სული, თავდაჭერილობა, დიდსულოვნება საუკუნის ნახევრის მიჯნამდეც მოჰყვა...

...1957 წელს თბილისის „დინამო“ მოსკოველ თანაკლუბელებს ხვდებოდა. იმ მატჩში ქართველი ფეხბურთელები დამარცხდნენ, მაგრამ გულშემატკივრები აღაფრთოვანა თბილისელი დებიუტანტი გოლკიპერის სერგო კოტრიკაძის ოსტატობამ.

— თამაშის წინა დღეს გაიოზ ჯეჯელავამ თქვა: ვლადიმერ მარღანია დაშავებულია და სერგო დავაყენოთ კარში! აი, ასე შედგა ჩემი დებიუტი „დინამოში“! — იხსენებს სერგო.

შემდეგ ბევრი სიხარულიც და წარუმატებლობით გამოწვეული სინანულიც იყო, აბა სპორტში წარმატებას წარუმატებლობაც ხშირად ახლავს... 1959-1967 წლებში სერგო კოტრიკაძე არაერთხელ იყო მიწვეული ჯერ ჩვენი ქვეყნის ახალგაზრდულ გუნდში, შემდეგ პირველ ნაკრებში, ოლიმპიურ ნაკრებშიც გამოდიოდა.

სერგოს მეგობრებმა, ახლობლებმა, ძველმა გულშემატკივრებმა იციან, რომ იგი არასოდეს ყოფილა ქედმაღალი და ყოყოჩა, მაშინაც კი, როცა ჩვენი ქვეყნის საუკეთესო მეკარისთვის დაწესებული „ოგონიოკის“ პრიზი რომ დაიმსახურა.

თითქოს გუშინ იყო ის პირველი მატჩი. მოგონებად დარჩა 1959 წელი და კიევის „დინამოსთან“ მატჩში აღებული ორი პენალტი. შემდეგ 1971 წელი და ჩვენი საყვარელი მეკარის ფეხბურთიდან წასვლა...

ეს ჭაღარა რომ არა, სერგო ისევ ის სერგოა — თბილისის „დინამოს“ გოლკიპერი. დრო არ დასტყობია მის სხარტ სპორტულ აღნაგობას, იმ გულღია ღიმილს, ვირტუოზულ თამაშთან ერთად ასე რომ ხიბლავდა გულშემატკივრებს...

ვეტერანები ყოველ შაბათ-კვირას „ნორჩი დინამოელის“ საფეხბურთო ბაზაზე იკრიბებიან და „თავიანთ ჭიას ახარებენ“, ძველებური აზარტით თამაშობენ ფეხბურთს. უამისოდ ცხოვრება ვერ წარმოუდგენიათ. იქნებ ვინმეს გაუკვირდეს კიდეც, რომ სერგო, ეს ორმოცდაათ წელს მიღწეული კაცი, ზოგჯერ ისეთ ნახტომს გააკეთებს, ისეთ ბურთს „ჩამოხსნის“, ვეტერანები შიშით თვალებს ხუჭავენ, არაფერი იტკინოსო.

დრო გადის... ფეხბურთისადმი სიყვარული კი გაუხუნარი რჩება.

თამაზ ჰეიშვილი.

სურენ ვართანესოვის ფოტო.

„ტყავის ბურთის“ პრიზზე

„იმედი“ პირველია

„ტყავის ბურთის“ კლუბის რესპუბლიკური გათამაშების ფინალური ასპარეზობას, როგორც ცნობილია, ხობი მასპინძლობს. ჩვენმა მკითხველებმა იციან, რომ უმცროსი ასაკის ფეხბურთელთა ტურნირში გამარჯვება თბილისის „შატილმა“ მოიპოვა. რამდენიმე დღის წინ დამთავრდა საშუალო ასაკის სპორტსმენთა შეჯიბრებაც, რომელშიც 1973-1974 წლებში დაბადებული ფეხბურთელებით დაკომპლექტებული 15 გუნდი მონაწილეობდა (გაურკვეველი მიზეზების გამო ხობში არ ჩამოვიდა ცაგერის გუნდი).

წინასწარი შეხვედრები სხვებზე ძლიერად ჩაატარეს გეგეჭკორის „მერცხალმა“, ქობულეთის „ნარინჯმა“, საჩხერის „იმედმა“ და ბოლნისის „ყვინჩილამ“, რომლებმაც ნახევარფინალურ მატჩებში თამაშის უფლება მოიპოვეს. აქ საჩხერელებმა სძლიეს გეგეჭკორელებს (1:0), ბოლნისელებმა კი დიდი ანგარიშით (5:0) დაამარცხეს ქობულეთელები. გადაწყვეტი შეხვედრები უაღრესად დაძაბული გამოდგა. III ადგილისთვის მატჩში გამარჯვებული მხოლოდ პენალტების სერიამ გამოავლინა: „მერცხალისა“ და „ნარინჯის“ ორთაბრძოლის ძირითადი დრო დამთავრდა ფრედ (2:2), პენალტები კი უკეთ დაარტყეს გეგეჭკორელებმა — 4:2.

„იმედისა“ და „ყვინჩილას“ ფინალური მატჩის ბედი გადაწყვიტა ერთადერთმა გოლმა, რომელიც პირველ ტაიმში გაიტანა საჩხერელმა გიორგი სისვაძემ (სხვათა შორის, სისვაძემ 9 გოლით ტურნირის საუკეთესო ბომბარდირის პრიზიც დაიმსახურა). საჩხერის „იმედი“ (მწვრთნელი — არტურ ოვანოვი) „ტყავის ბურთის“ საკავშირო ფინალურ გათამაშებაში მიიღებს მონაწილეობას.

ნორჩ ფეხბურთელთათვის დაწესებული იყო რამდენიმე სპეციალური პრიზი. ყველაზე ტექნიკური მოთამაშის ჯილდო გადაეცა გეგეჭკორელ დათო ნაჭყებიას, ხოლო საუკეთესო მეკარის პრიზი — ლაითურის „გიგანტის“ კარის დარაჯს დათო ჯინჭარაძეს.

ხობშივე დაიწყო უფროსი ასაკის ფეხბურთელთა ტურნირი, რომელიც საკავშირო ასპარეზობის მესამე მონაწილეს დაასახელებს. „ტყავის ბურთის“ რესპუბლიკური ფინალური შეჯიბრება მეტად საინტერესოდ მიმდინარეობს, მატჩები მუდამ ხალხმრავალ აუდიტორიას იზიდავს. სასიამოვნოა, რომ ადგილობრივი ხელმძღვანელობა დიდ ყურადღებას იჩენს სტუმრებისადმი. ფეხბურთელებისა და მათი მწვრთნელებისთვის ეწყობა საინტერესო ექსკურსიები, კონცერტები, სხვა კულტურული ღონისძიებები. საკმაოდ მაღალია შეჯიბრების სპორტული დონეც, რასაც მნიშვნელოვანწილად განაპირობებს კვალიფიციური მსაჯობა. არბიტრების მისამართით ტურნირის მონაწილეებს იშვიათად თუ დასცდებათ საყვედური. მაგრამ აქვე უნდა ითქვას, რომ ზოგიერთი ფეხბურთელის მშობლები, ამ საქმეში სრულიად არაკომპეტენტური ადამიანები, ცდილობენ თავიანთი გუნდის წაგება მსაჯის არაობიექტურობით ახსნან და ხშირად ხმამაღლა გამოხატავენ უკმაყოფილებას. არაჯანსაღი ატმოსფეროს შექმნის ყოველი ასეთი ფაქტი ხელს უშლის შეჯიბრების ნორმალურ მსვლელობას და ჩრდილს აყენებს თვით იმ მონაწილეებს, ვის „დასაცავადაც“ გამოდიან ეს „ვაი-გულშემატკივრები“.

სურათებზე: „ტყავის ბურთის“ რესპუბლიკურ ფინალურ გათამაშებაში გაიმარჯვებული გუნდები: შარცხნივ — თბილისის „შატილი“ (უმცროსი ასაკი), მარჯვნივ — საჩხერის „იმედი“ (საშუალო ასაკი).

ვახტანგ ქარსელაძის გახსენება

ახალი ქართული დოკუმენტური ფილმის „ტალანტების პოვნის ნიჭის“ გამოსვლის გამო

საქართველოს სამეცნიერო-პოპულარული და დოკუმენტური ფილმების სტუდია „მემატიანეში“ დამთავრდა გადაღება და ჩვენი ქვეყნის ეკრანებზე უკვე უჩვენებენ ახალგაზრდა რეჟისორის მანუჩარ ყიფიანის ახალ ქართულ დოკუმენტურ ფილმს „ტალანტების პოვნის ნიჭი“. ფილმის სცენარის ავტორები არიან თენგიზ გიორგაძე და მანუჩარ ყიფიანი, ოპერატორი ანატოლი ვოდოლაზოვი.

ეს ათწუთიანი ფილმი საინტერესოდ მოგვითხრობს საჭადრაკო ხელოვნების უბადლო პროპაგანდისტის, მრავალი ნიჭიერი მოჭადრაკის მპოვნელისა და აღმზრდელის, თავისი საქმის დიდოსტატის ვახტანგ ქარსელაძის ცხოვრებასა და მოღვაწეობაზე. ჭადრაკის ისტორიკოსები ამ განსაკუთრებული ნიჭის მქონე ადამიანს „ქართულ ფენომენს“ უწოდებენ.

ფოტოდოკუმენტები ვ. ქარსელაძის ქუთაისში გატარებულ წლებზე მოგვითხრობენ. მუსიკოსის შვილი, თავადაც მუსიკის ნიჭით დაჯილდოებული, მშობლის გზას გაჰყვა, მაგრამ მერე მაინც ჭადრაკის სიყვარულმა გადაძალა. ჭადრაკის თამაში ვახტანგმა ჯერ კიდევ სკოლაში სწავლის პერიოდში დაიწყო და მალე მოსწავლეთა შორის ქალაქის ჩემპიონი გახდა. სკოლის წარმატებით დამთავრების შემდეგ თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ფიზიკა-მათემატიკის ფაკულტეტზე უგამოცდოდ ჩაირიცხა. მეხუთე კურსის სტუდენტი დიდი სამამულო ომის დაწყებისთანავე მოხალისედ წავიდა ფრონტზე. ომიდან დაბრუნებულმა კი კვლავ სწავლა განაგრძო.

ამავე პერიოდში სპორტკომიტეტში ჭადრაკის ინსტრუქტორად მუშაობდა. საორგანიზაციო საქმიანობა მისი მოწოდება არ იყო და 1948 წლიდან ვ. ქარსელაძეს თბილისის პიონერთა და მოსწავლეთა სასახლის ჭადრაკის წრის ხელმძღვანელის პოსტზე ვხედავთ. აქ იპოვა მან თავისი ადგილი და საქმე, რომელსაც მთელი სიცოცხლე დაუნანებლად შესწირა. ვახტანგმა რამდენიმე ნიჭიერი ოსტატი და დიდოსტატი ჭაბუკი მოამზადა, მაგრამ ჭადრავის ისტორიაში მაინც ისე შევიდა, როგორც ნიჭიერი გოგონების აღმზრდელი.

ვახტანგმა ნონა გაფრინდაშვილი პირველად 1953 წელს ნახა ბათუმში, სადაც მშობლიური ზუგდიდიდან ჩასული 12 წლის გოგონა გუნდურ შეჯიბრებაში მონაწილეობდა. ვახტანგის დაკინებულ თხოვნას, ნონა თბილისში გამოეგზავნათ, მშობლები წინ ვერ აღუდგნენ.

ნანა ალექსანდრიაც ვახტანგ ქარსელაძემ აღმოაჩინა. მისი მოწაფეები იყვნენ, აგრეთვე, ალექსანდრე ბოკუჩავა, იური ჩიქოვანი, თამაზ გიორგაძე, ელისო კაკაბაძე, მანანა ტოგონიძე, ალა ჩაიკოვსკაია და სხვები. ვ. ქარსელაძის მიერ შექმნილი ქალთა საჭადრაკო სკოლის მიღწევები დღეს მსოფლიოს აოცებს.

ფილმში გამოყენებულია საქართველოს კინოფოტოფონოდოკუმენტების ცენტრალურ სახელმწიფო არქივში დაცული ფოტოსურათები და კინოკადრები. ამაგდარ პედაგოგს გულთბილად იგონებენ ელისო კაკაბაძე, ნონა გაფრინდაშვილი, ნანა ალექსანდრია და სხვები...

ვახტანგ ქარსელაძე ჩვენს შორის აღარ არის, მაგრამ არიან და ქართული საჭადრაკო სკოლის ღირსებას იცავენ მის მიერ აღმოჩენილი ტალანტები. ეს ფილმიც ამ არაჩვეულებრივი ადამიანის კეთილმოსაგონარ მოთხრობად დარჩება.

ალექსანდრე გვენცაძე,
საქართველოს კინემატოგრაფიის სახელმწიფო კომიტეტის მეთოდკაბინეტის გამგე.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ევროპის ჩემპიონატი

ბასპორტი

კეთილი ნების თამაშებში იტალიის ველოსიპედისტთა უფროსი მწვრთნელი, წარსულში ცნობილი სპრინტერი სერჯო ბიანკეტო იყო. იტალიელებმა მოსკოვის შეჯიბრებაში სახარბიელო ვერაფერი აჩვენეს. სპეციალისტები „ბიანკეტოს ბიჭებს“ 4 კილომეტრზე გამოდევნებით რბოლის პრიზიორთა შორის ასახელებდნენ, მაგრამ თავად მწვრთნელი სკეპტიკურად იყო განწყობილი.

— ჩვენ უსათუოდ დავკარგავთ გუნდურ რბოლაში მსოფლიო ჩემპიონის სახელს, რომელიც შარშან ბასანო დელ გრაპაში მოვიპოვეთ. საქმე ის გახლავთ რომ, ორი შარშანდელი ჩემპიონი პროფესიონალებში გადავიდა და გუნდი საგრძნობლად დასუსტდა.

ბიანკეტოს აზრით, პროფესიონალმა სპორტმა სამოყვარულო ველოსპორტი უკვე საბოლოოდ „გამოშიგნა“. გონს მოსასვლელად ჩვენს სულ ცოტა, რამდენიმე წელი მაინც დაგჭირდება — ამბობს მწვრთნელი.

დანაშაული და სასჯელი

ფეხბურთელთა ბოლო მსოფლიო ჩემპიონატში მსაჯების მისამართით უამრავი საყვედური გამოითქვა, რას არ სწამებდნენ არბიტრებს: დაბალ კვალიფიკაციას, ლიბერალიზმს, უპატიოსნობას. საქმე იქამდე მივიდა, რომ ფიფას ვიცე-პრეზიდენტმა ჰერმან ნიბერგერმა სპეციალური განცხადებაც კი გააკეთა:

— არბიტრების მუშაობა მექსიკაში საერთაშორისო ფედერაციამ დამაკმაყოფილებლად შეაფასა. და მართლაც, მათ უხეშობის ასალგამავად ყველაფერი იღონეს. თავად განსაჯეთ: პირველი ეტაპის 36 მატჩში არბიტრებმა ფეხბურთელებს 6 წითელი და 82 ყვითელი ბარათი უჩვენეს. განა ამის შემდეგ შეიძლება მათ ლიბერალიზმი დავწამოთ?

პოპულარული ძალოსნები

ძალოსანთა მსოფლიო ჩემპიონატზე, რომელიც კარლ-მარქს-შტადტში (გდრ) ჩატარდა, ბულგარელები ნაუმ შალამანოვი და სევდალინ მარინოვი ყველაზე პოპულარულ სპორტსმენები იყვნენ. ტანმორჩილ შალამანოვს (სიმაღლე 152 სმ), რომელმაც ჩემპიონატის დღეებში სამი მსოფლიო რეკორდი გაუმჯობესა, ნიადაგ მასსავით ტანმორჩილ ბიჭუნების ამალა დაჰყვებოდა. მარინოვმა კი მრავალრიცხოვანი გულშემატკივრების სიმპათიები თავისი ასაკის გამო დაიმსახურა. ჩემპიონატის მონაწილეთა შორის იგი ყველაზე ახალგაზრდა იყო (18 წელი ჯერ არ შესრულებია).

მარინოვი დიდხანს ტანვარჯიშით იყო გატაცებული.

რედაქტორის მოადგილე
თ. გაჩეჩილაძე.

სსრ კავშირის ჩემპიონატი რეგბიში

გაიმართა უმაღლესი ლიგის რეგბისტთა საკავშირო ჩემპიონატის „ა“ ფინალური ჯგუფის მორიგი ტურის მატჩები. შეგახსენებთ, რომ ამ ჯგუფში ჩემპიონატის მედლებისათვის ლიგის რვა საუკეთესო კოლექტივი იბრძვის.

მოსკოვის „ლოკომოტივმა“ უმასპინძლა ქუთაისის „შენებელს“. პირველ მატჩში ანგარიშით 12:8 გაიმარჯვეს ქართველმა რეგბისტებმა, მეორეში კი მასპინძლებმა—15:9. დანარჩენი შეხვედრები ასე დამთავრდა: ალმა-ათის ასკ — მოსკოვის „სლავა“ 6:6, 13:18; მოსკოვის „ფილი“ — სსა 6:3, 13:23, კიევის „ავიატორი“ — კრასნოიარსკის „ექსკავატორტიაესტრაი“ 28:4, 26:18.

ტურნირის ლიდერს — „სლავას“ 57 ქულა აქვს. მას 4 ქულით ჩამორჩება სამხედრო-საჰაერო აკადემიის გუნდი, რომელმაც ლიდერზე ერთი მატჩით ნაკლები ჩაატარა. „ავიატორს“ და მოსკოვის „ლოკომოტივს“ 46-46 ქულა აქვთ.

ეკრანზე და ეთერში

ცენტრალური ტელევიზია. 24 ივლისი. დილის ტანვარჯიში — **9.00 (2);** ჩოგბურთი. „ფედერაციის თასი“ — მსოფლიო ჩემპიონატი ქალთა გუნდებს შორის — **14.35 (2);** საჭადრაკო სკოლა — **17.05 (1);** რიტმული ტანვარჯიში — **19.20 (2);** სსრ კავშირის ჩემპიონატი ფეხბურთში: „დინამო“ (კიევი) — „დნეპრი“ (დნეპროპეტროვსკი)— **20.00 (2).**

25 ივლისი. დილის ტანვარჯიში — **9.00 (2);** ჩოგბურთი. „ფედერაციის თასი“ — მსოფლიო ჩემპიონატი ქალთა გუნდებს შორის — **14.25 (2);** სსრ კავშირის ჩემპიონატი ფეხბურთში: „დინამო“ (მოსკოვი) — „ტორპედო“ (მოსკოვი) — **20.00 (2).**

საქართველოს ტელევიზია. 24 ივლისი. სსრ კავშირის ჩემპიონატი ფეხბურთში: „დინამო“ (თბილისი) — „ზენიტი“ (ლენინგრადი) — **20.00;** „ტორპედო“ (ქუთაისი) — „ჟალგირისი“ (ვილნიუსი) — **22.40.**

საქართველოს რადიო. 24 ივლისი. რიტმული ვარჯიში — **11.40;** სსრ კავშირის ჩემპიონატი ფეხბურთში: „დინამო“ (თბილისი) — „ზენიტი“ (ლენინგრადი) — **21.00,** „ტორპედო“ (ქუთაისი) — „ჟალგირისი“ (ვილნიუსი) — **22.00.**

მსოფლიო ჩემპიონატის ეჟე

ორი აზრი, ორი პოზიცია

ფეხბურთის მწვრთნელი ბრაზილიაში უბედური კაცია, მით უფრო თუ იგი ეროვნულ ნაკრებთან მუშაობს და გუნდს მსოფლიო ჩემპიონატისთვის ამზადებს. ეს საკუთარ თავზე ყველაზე მეტად ტელე სანტანამ გამოსცადა. და აი, მექსიკის ჩემპიონატის დამთავრების შემდეგ მან თქვა: — მეყო! ამიერიდან ფეხბურთთან ყოველგვარი კავშირი უნდა გავწყვიტო.

დარწმუნებული ვართ, სანტანამ ეს სიტყვები გულწრფელად წარმოთქვა. ბრაზილიელი ფეხბურთის მოყვარულების გულის მოგება მართლაც ძნელი საქმეა. თუ პირველი ხარ — ეროვნულ გმირად გამოგაცხადებენ. მაგრამ საკმარისია ფეხი ოდნავ დაგიცდეს, რაღაც ისე ვერ გააკეთო, როგორც გულშემატკივრებს სურთ, მთელი ქვეყნის რისხვა თავს დაგატყდება.

სანტანა დაიღალა ამ უთანასწორო ბრძოლაში. მან დატოვა სარბიელი და გზა ახალ მწვრთნელს დაუღოცა. ვინ იქნება მისი მემკვიდრე?

ბრაზილიის ნაკრების ყოფილი ხელმძღვანელისა და ამჟამად ცნობილი სპორტული ჟურნალისტის ჟოაო სალდანიას აზრით, მწვრთნელი ამ შემთხვევაში არაფერ შუაშია. ბრაზილიური ფეხბურთის სენს უფრო ღრმა, უფრო არსებითი მიზეზები განაპირობებს.

მსოფლიო ჩემპიონატებში ჩვენ ვარსკლავები მუდამ გვყავდა, შენიშნავს იგი. ამჟამად ბრაზილიაში, სამწუხაროდ, ვერც ერთ ექსტრაკლასის „ვარსკვლავს“ ვერ იპოვით. არ იფიქროთ, თითქოს ეს დროებითი კრიზისი იყოს, ამ კრიზისს უფრო ღრმა ფესვები და მიზეზები აქვს, უმთავრესი მათ შორის ის არის, რომ ბავშვები ქუჩაში ფეხბურთს აღარ თამაშობენ. ბრაზილიამ დაკარგა ბაზა, ის ძალა, რომელიც ამ ქვეყნის საფეხბურთო ცხოვრებას მართავდა და ასულდგმულებდა.

ფეხბურთი ახალგაზრდობას აღარ აინტერესებს. ალბათ, ამიტომაც რიო-დე-ჟანეიროსა და სან პაულუს შორის არსებულ 20 ათასი საფეხბურთო მოედნიდან დღეისთვის მხოლოდ 100 შემორჩა. სალდანია სინანულს გამოთქვამს იმის გამოც, რომ ფეხბურთზე უფრო დიდი პოპულარობა მის ქვეყანაში ფრენბურთმა მოიპოვა.

ფეხბურთის კონფედერაციას ასეთი პესიმიზმი ცხადია, ხელს არ აძლევს. იგი იქნებ თანაუგრძნობს კიდეც სალდანიას და ძირითად საკითხებში ეთანხმება მას, მაგრამ როგორც ოფიციალური ორგანიზაცია, ვალდებულია ხვალინდელ დღეზე იფიქროს და უკვე ახლა, მომავალ მსოფლიო ჩემპიონატამდე 4 წლით ადრე უფრო ქმედითი და პრაქტიკული წინადადებები წამოაყენოს.

კონფედერაცია აღიარებს, რომ ფეხბურთი ფინანსურ ინტერესებს არ უნდა დაექვემდებაროს. არადა, ნებისმიერი გუნდი, სწორედ ფინანსური მოსაზრებებით, კვირაში ორ, ზოგჯერ კი სამ მატჩს ატარებდა. ახლა ეს წესი შეიცვლება და ევროპაში მიღებული რეგლამენტის მსგავსად კვირაში მხოლოდ ერთი შეხვედრა გაიმართება. კონფედერაციას სხვა რეფორმების ჩატარებაც აქვს განზრახული. კერძოდ, სურს შექმნას სამი მუდმივად მოქმედი ნაკრები, ერთი დიდების, ერთი იუნიორების და ერთიც ჭაბუკებისა. ამ გუნდებმა, ორ-სამ თვეში ერთხელ მაინც, საერთაშორისო ამხანაგური მატჩები უნდა ჩაატარონ. ტალანტებისა და რეზერვის სრული ამოქმედება მხოლოდ ამ გზით შეიძლება.

კონფედერაციის ხელმძღვანელთა ოპტიმიზმს იზიარებს ბრაზილიის იუნიორთა ნაკრების მოთამაშე სილასი, რომელსაც, სხვათა შორის, თბილისის ფეხბურთის გულშემატკივრებიც კარგად იცნობენ (იგი იუნიორთა მსოფლიო ჩემპიონატის ერთ-ერთი საუკეთესო მოთამაშე იყო და ჩვენს ქალაქში დიდი პოპულარობით სარგებლობდა).

20 წლის სილასის აზრით, მექსიკის ჩემპიონატის შემდეგ ბრაზილიის ფეხბურთში ახალი ერა დაიწყება. „ზიკოს, სოკრატესის, ფალკაოს, ჟუნიორისა და ოსკარის წასვლა ჩვენ ისევ უნუგეშოდ არ დაგვასუსტებს, როგორც ზოგიერთს ჰგონია. დარწმუნებული ვარ, თუ კარგად მოვემზადებით, მომავალ მსოფლიო ჩემპიონატს უსათუოდ მოვიგებთ. ბრაზილიის ფეხბურთი დღესაც მსოფლიოში საუკეთესოა, მექსიკის ტურნირმა კი ჩვენ, ახალგაზრდებს, დიდი გამოცდილება შეგვძინა“.

სილასი ასე ფიქრობს, სალდანია — სხვაგვარად. მექსიკის ჩემპიონატით ფეხბურთის ისტორია, ცხადია, არ დამთავრებულა. დრო მიდის და მომავალზე ფიქრი უკვე დღეს არის საჭირო.



3. ი. ლენინის სახელობის „დინამოს“ სტადიონი

30 ივლისი

ფეხბურთი ⊙ სსრ კავშირის ჩემპიონატი

„დინამო“ (თბილისი) — „ტორპედო“ (ქუთაისი)

დასაწყისი 20 საათზე

მატჩზე დასასწრები და ლატარიის ბილეთები ორგანიზაციებში გაიყიდება 25-28 ივლისს, ხოლო სტადიონის სალაროებში — 25 ივლისიდან, შეფარდებით ერთი ერთზე.

აბონემენტების მფლობელებს ლატარიის ბილეთის შეძენა შეუძლიათ № 7 სალაროში 30 ივლისის 12 საათამდე.

სსრ კავშირისა და საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოების დეპუტატების, სამამულო ომის მონაწილეთათვის იმუშავებს № 6 სალარო.

სალაროები ღიაა 10-დან 19 საათამდე (შესვენება 14-15 საათებში).

* * *

ამ გუნდების სათადარიგო შემადგენლობათა მატჩი გაიმართება 29 ივლისს „დინამოს“ სტადიონზე.

დასაწყისი 19 საათზე.

ავდრის შემთხვევაში მატჩი შედგება „ლოკომოტივის“ სტადიონზე.

ჩვენი მისამართი:
წერილებისთვის — 380096
თბილისი, ლენინის ქ., 14
დეპეშებისთვის—თბილისი, „ლელო“

რედაქციის ტელეფონები:
სამდივნო — 93-97-52
ინფორმაციის განყოფილება — 93-97-53
წერილების განყოფილება — 93-97-55
„მართვა“ — 93-97-27, „მეარანი“ — 93-97-26

ჩვენი ინდექსი:
66425

საქართველოს კპ ცკ-ის გამომცემლობის შრომის წითელი დროშის ორდენოსანი სტამბა. 380096, თბილისი, ლენინის ქ., 14. იბეჭდება ოფსეტური წესით საგაზეთო კორპუსში: ხოშარაულის, 29.

1 2 3 4 5 6 7 8 9 10 11 12 13 14 15 16 17 18 19 20 21 22 უე 07505